საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# ბრძანება

ქ. თბილისი

N 1704-02
17/06/2019

,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ისტორიის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ"
რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 15 აპრილის N947-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების" საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 25 დეკემბრის №13 ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.შეტანილ იქნას ცვლილება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 15 აპრილის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ისტორიის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ" N947-02 ბრძანების მე-7 პუნქტში, კონკურსის შედეგი გამოცხადდეს 2019 წლის 18 ივნისს, ნაცვლად 2019 წლის 17 ივნისისა და შესაბამისად, ცვლილების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**,,7. კონკურსის შედეგი გამოცხადდეს 2019 წლის 18 ივნისს.**

2.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

3.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

გიგა ზედანია

რექტორი